

აჭარის გაბუსდობა ზაქარია ჭიჭინაძის წნობების მიხედვით

სულხან სალაძე

XV საუკუნის დასაწყისში რუმის სასულთნოს ნანგრევებზე ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბება დაიწყო. ბიზანტიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მის ხელში გადავიდა. 1453 წელს კი ოსმალებმა ბიზანტიის იმპერიის უმთავრესი ქალაქი – კონსტანტინოპოლი – აიღეს, რასაც დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა.

კონსტანტინოპოლის აღებისა და ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ ოსმალეთს შესაძლებლობა მიეცა მეტი ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთისთვის. ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპეზუნტი, დაიმორჩილეს ყირიმის სახანო, ასტრახანი და საქართველოს მოუახლოვდნენ. ოსმალეთის აღმოსავლეთით გაფართოება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მთელ საქართველოს, პირველ რიგში კი – მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

ოსმალეთიდან მომავალი საფრთხის პარალელურად რთული მდგომარეობა იყო ქვეყნის შიგნითაც. მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასა და საქართველოს დაშლის მომხრე ძალებს შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა XV საუკუნის 60-იანი წლებიდან. ნათლად გამოჩნდა, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს იურიდიულად გაფორმება გარდაუვალი იყო. შედეგად, 1490 წელს კონსტანტინე II-ის მიერ მონღეულ დარბაზობაზე საქართველოს გაერთიანების მომხრე მეფეს დარბაზმა ურჩია:

„ვინაითგან მტკიცედ სდგან ერთგულებსა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ მრე (ე.ი. მომრევი) ვექმნეთ ერთსა, არლარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოდ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასა შენსა“.



კონსტანტინე II
(1447-1505)

ეს რჩევა და მეფის მხრიდან მისი მიღება პრაქტიკულად საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის იურიდიულ გაფორმებას ნიშნავდა.

ამ ფონზე, XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისიდან შეიცვალა ოსმალეთის დამოკიდებულებაც და თუ მანამდე ძირითადად საქართველოს სამეფო-სამთავროების მოხარკეობით კმაყოფილდებოდა, თანდათან ეს სრული დაპყრობის პოლიტიკაში გადაიზარდა. საფრთხე ყველაზე ადრე საქართველოს სამხრეთს და სამხრეთ-დასავლეთს დაემუქრა. შედეგად, XVI საუკუნის 60-იან წლებში, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა არაერთ მხარესთან ერთად, ოსმალეთმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაც დაიპყრო, რასაც ხეობის აღწერა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-მმართველობითი


სისტემის შექმნა მოჰყვა. მმართველობითი სისტემის შეცვლის პარალელურად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო დაპყრობილი მხარეებისა და ხეობების გამუსლიმება. უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამაჰმადიანება ერთდროულად არ მომხდარა.

ქვემოთ სწორედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე აჭარის გამუსლიმებაზე გავამახვილებთ ყურადღებას და ძირითად წყაროდ გამომცემლის, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორის – ზაქარია ჭიჭინაძის (1854-1937) ცნობებს გამოვიყენებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ „აჭარაში“ მოვიაზრებთ მთელ იმ ტერიტორიას, რასაც დღეს აჭარას ვუწოდებთ, რამდენადაც ზაქარია ჭიჭინაძის ცნობები ეხება როგორც ისტორიულ ქობულეთსა და მაჭახელას ხეობას, ისე ზემო და ქვემო აჭარას.

ზაქარია ჭიჭინაძე XIX-XX საუკუნეების გამოჩენილი პიროვნება იყო. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში წიგნიერების განვითარება-გავრცელების საქმეში. იგი წერდა წიგნებს, აწყობდა, ბეჭდავდა, კინძავდა და თავადვე გაჰქონდა ბაზარზე გასაყიდად. მან შეადგინა და გამოსცა მრავალი ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა ხასიათის წიგნი, შექმნა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომები, რომლებიც დღესაც დიდ დახმარებას უწევს მკვლევართ. მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ისტორიკოსისათვის საჭირო განათლება არ მიუღია, აჭარაში მრავალჯერ მოგზაურობისას მან ძალიან მნიშვნელოვანი მასალა შეაგროვა აჭარის გამუსლიმებისა და იმ პერიოდის ამბების შესახებ. ზაქარია არა მხოლოდ აგროვებდა ცნობებს, არამედ სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში და გამოსცემდა წიგნებს. მაგალითად, 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ 18 სტატია გამოაქვეყნა სამხრეთ საქართველოს გამუსლიმების საკითხებზე და მათი დიდი ნაწილი სწორედ აჭარას ეხებოდა. მოგვიანებით ამ სტატიებში წარმოდგენილი მასალა მის წიგნებშიც შევიდა. აჭარის ხეობების გამუსლიმებაზე ზაქარია ჭიჭინაძე ყველაზე ვრცლად გადმოგვცემს 1915 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართველების გამაჰმადიანება, ანუ ქართველთა გაათათრება“.

„მხოლოდ რამდენიმე თავგამოდებული მამულიშვილი ცდილობდა დაერღვია ქართველ საზოგადოების ლეტარგია და კრიჭაში უდგა ყველა მტერს და ინსინუაციას. ამ თავგამოდებულთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ზაქარია ჭიჭინაძეს. მას წიგნის გამოცემა და გამრავლება მიაჩნია დიდ კულტურულ და ეროვნულ საქმედ. ამ საქმეს შეუდგა იგი თავისი საოცარი ენერგიით და შეასრულა კიდევაც პირნათლად“, – წერდა პოეტი კოტე მაყაშვილი ზაქარია ჭიჭინაძეზე.

ზაქარია ჭიჭინაძის ნიშნები



მკვლევრის ურთიერთობა აჭარასთან 1889 წლიდან დაიწყო, როდესაც ქობულეთში ჩავიდა, შემდეგ წელს კი უკვე აჭარისწყლის ხეობასაც ესტუმრა. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში ზაქარია ჭიჭინაძე მუდმივად სტუმრობდა აჭარას და არ დარჩენილა ხეობა თუ სოფელი, სადაც ფეხი არ დაუდგამს. მას მალევე მოუპოვებია აჭარლების სიყვარული და პატივისცემა. მარტო ქობულეთის სოფლებში 2000 წიგნი ჰქონია დარიგებული, ქობულეთის, მაჭახელას და აჭარის ორასზე მეტი სოფელი კი – შემოვლილი.

გამაჰმადიანებასთან დაკავშირებით შეგროვებული ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი ზაქარია ჭიჭინაძეს XIX საუკუნის 90-იან წლებში აჭარაში მოღვაწე მუსლიმი სასულიერო პირებისგან მიუღია. ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილის მონათხრობით არის შევსებული ზემო და ქვემო აჭარის, მაჭახელას ხეობის და ფოცხოვის გამუსლიმების ამბავი. თავად ხალიფაშვილს ეს ცნობები თავისი წინამორბედი ხოჯისგან, გვარად ხერხეულიძისგან, ჰქონია, რომელსაც კარგად ხსოვდა არა მარტო აჭარლების გამაჰმადიანების ამბები, არამედ აჭარაში დარჩენილი ქრისტიანების ყოფა-ცხოვრებაც. ხალიფაშვილის გადმოცემით, ღრმად მოხუცებული ხერხეულიძის მოთხრობილი ამბები XVIII საუკუნის 70-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, აჭარისწყლის და მაჭახელას ხეობებში გამუსლიმება 1670 წლიდან დაწყებული და თითქმის ასი წელი გაგრძელებულა, ქობულეთში კი ეს პროცესი

თანამედროვეები ამბობდნენ, რომ ზაქარია მუსლიმებთან დაახლოების მიზნით მეჩეთშიც დადიოდა და მუსლებზე დაჩოქილი არაბულ ლოცვებსაც წარმოთქვამდა. თავის ამ საქციელს თურმე ასე ხსნიდა: „სჯუელი, სარწმუნოება სხვაა, ეროვნობა – სხვა. სარწმუნოებით შეიძლება სხვადასხვა ვიყვნეთ, ეროვნებით კი ერთი ოჯახის შვილი ვართ და უნდა ასეთადაც დავრჩეთ“. ზაქარია თურმე არაბულ ლოცვებს ქართულად ბეჭდავდა, იქვე ურთავდა ანბანს, ქართველ მუსლიმთა ხალხურ ლექსებს და უფასოდ ავრცელებდა.

ახმედ ხალიფაშვილი



ქ. ყარსი XIX საუკუნის პოლს



1680 წლიდან დაწყებული. ზ. ჭიჭინაძესთან ვხვდებით ოსმალეთიდან მაჰმადიანობის გავრცელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების გამო ქართველების სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიგრაციის საინტერესო მაგალითებს. მაგალითად, საგულისხმოა ყარსელი სეიდ ფაშა გოგიტიძის ისტორია – გოგიტიძეს ისლამი თურმე იმ პირობით მიუღია, რომ ოსმალეთს ყარსის ქართველი მოსახლეობისთვის არ მოეთხოვა რჯულის შეცვლა, მაგრამ მოგვიანებით გარკვეულა, რომ იმპერიას მოსახლეობის გამაჰმადიანება ჰქონია გადაწყვეტილი და ამას სეიდ ფაშასა და სულთნის ჯარს შორის ბრძოლა მოჰყოლია. საბოლოოდ, სეიდ ფაშა გოგიტიძე იძულებული გამხდარა მომხრეებთან ერთად აჭარა-


ში გაქცეულიყო და ქედაში, სოფელ ვაიოში, დასახლებულიყო. ეს ისტორია ზაქარია ჭიჭინაძეს ვაიოში მცხოვრები გოგიტიძისგან ჩაუწერია. უნდა ითქვას, რომ გოგიტიძეები ამ სოფელში დღესაც ცხოვრობენ.

გამუსლიმებას უკავშირდება მიგრაციის სხვა ფაქტიც – ჭიჭინაძეს მაჭახელას ხეობაში ჩაუწერია, რომ იმერეთსა და კახეთში მცხოვრები ძნელადები მაჭახელას ხეობიდან გადასახლებულან. იმავე ცნობებით, იმერეთში გადასახლებულან სოფლებიდან: მაღლაკური, გოგაძეები და ლომანაური.

ჩანაწერებში ვხვდებით მიგრაციის საპირისპირო პროცესსაც, როდესაც მოსახლეობა მოძრაობს არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, არამედ, პირიქით – ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. სოფელ ზვარეში 80 წელს გადაცილებული სელიმ ალა იმიოლლის და ვინმე თურმანიძის მონათხრობით, მას შემდეგ, რაც მერისის ხეობის სოფლების მკვიდრთა დიდი ნაწილი ოსმალეთისა და გამუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, ხეობის სოფლებში გურიიდან ის გლეხები ჩასახლებულან, ვისაც საკუთარი მებატონეები ავიწროებდნენ.

როგორც ზ. ჭიჭინაძის ჩანაწერებიდან ირკვევა, ოსმალეთისთვის იმ ადგილების გამუსლიმება უფრო იოლი ყოფილა, სადაც ქალაქის ტიპის დასახლებები იყო და ფაშები ისხდნენ. ქალაქებისგან განსხვავებით, ეს პროცესი თურმე რთულად მიდიოდა სოფლებში.

ზაქარია ჭიჭინაძე



ერთი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც გა-
ზეთ „ივერიის“ აჭარელი კორესპონდენტის, ძენ-
წმანელი აბდულ ეფენდი მიქელაძის მონათხ-
რობს ემყარება, აჭარის გამუსლიმება კოლას,
ერუშეთის, თორთუმის, ტაოსკარის და შავშეთის
შემდეგ უნდა მომხდარიყო. აბდულ მიქელაძის
მიხედვით, აჭარა 100 წლის განმავლობაში ებრ-
ძოდა ოსმალეთს, ამ ბრძოლის პირველი ეტაპი
დაპყრობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო
მეორე ქრისტიანობის შენარჩუნებას უკავშირ-
დებოდა.

აჭარაში ოსმალეთის პოლიტიკა მხოლოდ
მოსახლეობის გამუსლიმებას არ ისახავდა მიზ-
ნად და ასევე გულისხმობდა ქართული ენის ჯერ
შეზღუდვას, მერე კი – აკრძალვას. როგორც ხა-
ლიფაშვილი ამბობს, იყო დრო, როდესაც ის ჯა-
მეში ქართულად ქადაგებდა, თუმცა ამის გამო
მას სტამბოლში უჩივლეს და წესების შეცვლა
მოუხდა.


როგორც გამუსლიმების, ისე ქართული ენის
დავიწყების პროცესი სამხრეთიდან იწყება და
თანდათან ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ. ჭიჭი-
ნაძის მიერ შავშეთში ჩანერილი ამბავი მოწმობს,
რომ ქართული ენის დაცვა ყველაზე უკეთ აჭა-

რაში შეძლეს. მაშინ, როდესაც კოლასა და ერუ-
შეთში ქართულად აღარ ლაპარაკობდნენ, იქ ჩა-
სულ შავშელებს თურმე ეტყოდნენ: ბიჭო, რაზე
ვერ დაისწავლე მაჰმადიანური ენაო? თქვენ აჭ-
არლები ხომ არ ხართო? ეს შეფასება ადასტუ-
რებს, რომ, ერთი მხრივ, აჭარაში კვლავაც კარ-
გად იცოდნენ ქართული, ხოლო, მეორე მხრივ,
აჭარის სამხრეთით, კოლასა და ერუშეთში, ქარ-
თული ენა დავიწყებას მიეცა.

გამაჰმადიანების პოლიტიკის თავისებურე-
ბაზე მიუთითებს ქედაში, სოფელ ორცვაში, ჩა-
ნერილი შავლედ ნაკაშიძის ცნობა, რომ თავდა-
პირველად ოსმალეთს გამუსლიმების პროცესი
აჭარისწყლის ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარე
სოფლებში დაუწყია, რითაც მარცხნივ მდებარე
სოფლები გამუსლიმებული ხეობებისა და სოფ-
ლების შუაში მოუქცევია.

საინტერესოა ოსმალეთის ძალისხმევით აჭ-
არაში პირველად რომელი სოციალური ფენა გა-
მუსლიმდა. ზაქარიას ცნობებით, ეს პროცესი მა-
ლალ სოციალურ ფენაში დაწყებულა. ქედაში,
სოფელ აგარაში, დევადის მონათხრობით, თავ-
დაპირველად თავად აბაშიძეს მიუღია მაჰმადია-
ნობა, რის სანაცვლოდაც მისთვის ბათუმი, კახა-
ბერი და მთელი აჭარა მიუციათ. იგივე დასტურ-
დება დანდალოს გამუსლიმებისას – ჯერ ავალი-
ანის გვარის წარმომადგენელი გამუსლიმებულა
და შემდეგ – მისი ყმები – ჯალაბაშვილები, გე-
ლიაშვილები, გიორგაძეები, გოგიაშვილები, გე-
გელიძეები, არზანაშვილები, ბალაძეები, ზაქა-
რაშვილები, კაკაშვილები, ბაბუჩაშვილები, ძანა-
ძეები და სხვები. საყურადღებოა, რომ სოფელ
დანდალოს ირგვლივ დღესაც არსებობს სოფლე-
ბი: ჯალაბაშვილები, გოგიაშვილები, გეგელიძე-
ები, ბალაძეები და ძანაძეები. გოგიაშვილებსა და
ბალაძეებში ეს გვარები დღემდე ცხოვრობენ.

თქვენი ქვეყანა



აბდულ მიქელაძე

სოფელი დანდალო, თამარის ხიდი



სხალთის ხეობასთან დაკავშირებით ჭიჭინაძე სხალთელი მემედ ბოლქვაძის მონათხრობს ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ ხეობაში ყველაზე დიდხანს ქრისტიანობა სოფელ ყინჩაურში შეუნარჩუნებიათ. ბოლოს კი სოფლის გამუსლიმებაში მთავარი როლი ადგილობრივ ბეგებს შეუსრულებიათ. მაჭახელას ხეობაში ყველაზე დიდხანს ქრისტიანობა სოფელ ევფრატში შეუნარჩუნებიათ.

საკუთრივ აჭარისწყლის ხეობის გაყოლებაზე ჯერ ქვემო აჭარა გამუსლიმებულია. იმ დროისათვის ახალციხე, შავშეთი და იმერხევიც უკვე გამაჰმადიანებული ყოფილა. ზემო აჭარის უმეტეს ხეობასა და მხარეში ქრისტიანობა მაჰმადიანობით ჩაუნაცვლებიათ და როგორც ნიგაზეულელ ნური ეფენდი ბერიძესა და სულეიმან გელაძეს უამბობიათ, ქვემო აჭარაში ქრისტიანობა ყველაზე დიდხანს დანდალოში შენარჩუნებულია.

აჭარისწყლისა და მისი მიმდებარე ხეობების გარდა, ზაქარია ჭიჭინაძის შეგროვებული მასალა კახაბრის, ჩაქვის და კინტრიმ-ქობულეთის გამუსლიმების ცნობებსაც შეიცავს. ქვემო აჭარაში ჩანერილი მონათხრობის მიხედვით, კახაბრიდან აჭარისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფლებიდან პირველად სოფელ ერგეს გამუსლიმება მომხდარა. რაც შეეხება ჩაქვსა და კინტრიმ-ქობულეთს, ას წელს გადაცილებული აჭყვისთაველი სახალხო მთქმელის ხუსეინ ქამჯარაძის თანახმად, ეს პროცესი ციხისძირის ბრძოლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. როცა აჭარა უკვე გამუსლიმებული ყოფილა, რამდენადაც აჭარის-

წყლის ხეობისგან განსხვავებით, ქობულეთიდან გურიაში მოხვედრა შედარებით იოლი იყო, ალდგომის ღამეს თურმე ქობულეთელები ეკლესიაში მისასვლელად გურიაში გადადიოდნენ. ამ ფაქტის დასტურად ჭიჭინაძე ქობულეთელი გუგუნავას და დუმბაძის მონათხრობს იშველიებს.

გამუსლიმების პროცესს აჭარაში ქრისტიანული საკულტო ნაგებობების განადგურება სდევდა. ხულოში ადგილობრივი ეკლესიის მღვდლის შთამომავლის, 75 წლის ბოლქვაძის მონათხრობით, ხულოს ეკლესიის დაქცევა ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის სახელს უკავშირდებოდა. აჭყვისთაველი ას წელს გადაცილებული ქამჯარაძის მონათხრობით, როდესაც ოსმალეთიდან ეკლესიების დანგრევის ბრძანება მოსულა, მას მამასთან და ბიძებთან ერთად გაუღია აჭყვისთავის მთავარანგელოზის ეკლესიის კარი და იქ შენახული ხატები, წიგნები, ჯვრები, ფული და სხვა ნივთები საგულდაგულოდ მომზადებულ ორმოში დაუმარხავს. როგორც ჭიჭინაძე წერს, ნივთების დამარხვის ადგილი ქამჯარაძეს მისთვისაც უჩვენებია.

ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ოსმალეთამდელი პერიოდიდან აჭარაში ყველაზე უკეთ თამარ მეფის ხსოვნა ყოფილა შემორჩენილი. აჭარლები თამარს მიანერდნენ ეკლესიების აშენებას სხალთასა და ევფრატში.

მაჰმადიანობის გავრცელების მიუხედავად, აჭარაში ქრისტიანობასთან დაკავშირებული არაერთი ტრადიცია შემორჩენილა. ზოგ შემთხვევაში ეს ტრადიციები იმდენად ძლიერი ყოფი-



ხულოს ეკლესიის ნანგრევები

ლა, რომ ჭიჭინაძის მოგზაურობის დროსაც კი კარგად ახსოვდათ აჭარლებს. სოფელ ნიგაზეულში ზაქარიას ასეთი ამბავი ჩაუნერია:

„აქ აღდგომას ლებადნენ წითელს კვერცხებს და წაილებდნენ ხოლმე სხალტის ეკლესიაზე და შესწირავდნენ, ხულას ეკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვათა მხარის ეკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულის ხეობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც შელებენ ხოლმე კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთი ეკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ“.



სხალტის ტაძარი

ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ტრადიციებზე მიუთითებს ქედაში, სოფელ დერეხობხნაში, მოსმენილი ამბავი, სადაც 60 წელს გადაცილებული მოხუცი მხოცვაძე ყვებოდა, რომ მას კარგად ახსოვდა ბავშვობისდროინდელი ამბები, როდესაც ნახევარი სოფელი ქრისტიანი იყო და მალულად იცავდნენ ქრისტიანობას:

„ესენი ღამე შეიყრებოდნენ ხოლმე ერთს სახლში, ერთს ჭრაქს დაანთებდნენ, იქ მღვდელი იდგა ხოლმე ჩუმად ლოცულობდა და ხალხს ალოცებდა. მღვდელს ვერავინ რას შეატყობდა, რადგანაც ის ვაჟკაცურად (ერის კაცად) იყო ჩაცმული“.

მხოცვაძისვე გადმოცემით, ავადმყოფთა სამკურნალოდაც თურმე გამუსლიმებული ადგილობრივები ქრისტიანულ ლოცვებს კითხულობდნენ:

„როცა ავად გახდებოდა ვინმე, მაშინ ჩვენიდამ წავიდოდნენ გურიაში კაცები, იქ დაიქირავებდნენ გურულს დედაკაცებს, მოიყვანდნენ აქა და ამათ ათქმევინებდნენ ხოლმე ქართულ ლოცვებს და გალობას, მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალეს ხოჯა-მოლებმა, რომ ჩვენის კაცისთვის ქრისტიანის ლოცვა არ შეიძლება“.

ასეთივე ჩვეულებაზე მეტყველებს სოფელ ზვარეში ჩანერილი ცნობაც, რომ ძველად ბავშვები, ავადმყოფობის დროს, ნაეკლესიარებში მიჰყავდათ და მათთვის ლოცულობდნენ. ასე გრძელდებოდა თურმე მანამ, სანამ მუსლიმმა სასულიერო პირებმა ქრისტიანული ლოცვები მუსლიმურით არ ჩაანაცვლეს.

ქობულეთში ჩანერილი ცნობით, ასაკოვან ქობულეთელებს ახსოვდათ შემთხვევები, როდესაც გარდაცვლილებს, უმეტესწილად ქალებს, ქრისტიანული წესით კრძალავდნენ. ამისთვის ორი გზა არსებობდა: ან მღვდელი უნდა გადმოეყვანათ გურიიდან, ან თავად მიცვალებული უნდა წაესვენებინათ მალულად ქობულეთში და იქ დაეკრძალათ.

გამაჰმადიანებასთან დაკავშირებულ ცნობებში აჭარის ზოგიერთი ტოპონიმის წარმოშობის შესახებ გავრცელებული ლეგენდებიც არის შემონახული. დერვიშ ბეგ ბეჟანაძის მონათხრობით, ქედის სოფელ ვაიოს სახელი თურმე სოფლის მკვიდრი ქრისტიანი გოგოს მოტაცებას უკავშირდება: ის საცოლედ მოუტაცებიათ და ძალით გაუმუსლიმებიათ. გატაცებისას გოგო იძახდა ვაი-ვაიო და ეს გამხდარა სოფლისთვის „ვაიოს“ დარქმევის მიზეზი. ამავე წყაროს ცნობით, სოფელ ვაიოში ორი, დიდი და პატარა, ეკლესია მდგარა. დიდი ეკლესია სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის დროს განადგურებულია და ხალხი მოთქვამდა „ვაიო“. პატარა ეკლესიის ნაშთები კი ზაქარია ჭიჭინაძეს საკუთარი თვალითაც უნახავს. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სოფლებში დღესაც მრავლად შეხვდება ადამიანი ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ტოპონიმებს, როგორცაა: ნასაყდრევი, ნაეკლესიარი, ხატიმამული და სხვა.

ზაქარია ჭიჭინაძეს აჭარის ათეულობით სოფელში აქვს აღრიცხული დანგრეული და განადგურებული ეკლესიებისა და საყდრების ნაშთები, მათ შორის: დანდალოში, ცხმორისში, აბუქეთაში, კანტაურში, ვაიოში, აქუცაში, ახოში, გობრონეთში, ქედაში, მერისში, ნამონასტრევი, ორცვაში, ძენწმანში, დერეხობხნაში, ბზუბზუში, ზვარეში, ზესოფელში, გულეში, ზედა მახუნცეთში, ზენდიდში, ზუნდგაში, ბელტურში, ჭინკაძეებში, ხიხაძირში, კალოთაში, რაქვთაში, ვერნებში, ნაბლანაში, ძმაგულაში, ფურტიოში,

ბუთურაულში, ცინარიძეებში, პაპოშვილებში, ტომაშეთში, აგარაში, ვანაძეებში, ალმეში, სტეფანაშვილებში, ბელლეთში, დიოკნისში, კორტოხში, იაკობიძეებში, ხულოში და ა. შ.


ზაქარია ჭიჭინაძე ნიგნში „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ ორი რელიგიის – ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის – გადაკვეთაზე ხშირად მიუთითებს. იგი აღნიშნავს, რომ სოფლებში სამება, კვაშტა, მერისი, ალიოღლები, სილიბაური, დღვანი, მანყვალთა, დარჩიძეები, ლურტა და სხვა ჯამეები და მეჩეთები ეკლესიების ადგილას ააშენეს.

თავის მხრივ, აჭარის სოფლებში დღემდე შემორჩენილი ხის მეჩეთები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. მეჩეთები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისიდან 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე აშენდა (მაგ.: სოფელ ახოს მეჩეთი 1818 წლით თარიღდება, სოფელ ბზუბზუს – 1820-1860 წლებით, გოგინაურის – 1843 წლით, კვირიკეს მეჩეთი – 1861 წლით, ხოლო სალორეთის – 1865 წლით) და მეჩეთები, რომლებიც ომის შემდგომ ააგეს (ბელლეთის – 1860-1900 წწ., ჭვანის – 1894-1895 წწ., ფურტიოს – 1895 წ., ხოხნის – 1899-1900 წწ, ლორჯომის – 1902 წ., აგარის – 1903 წ., დღვანის – 1907 წ. და ჩაოს – 1909-1912 წწ.).

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შეგროვებული ცნობები მონიშნავს, რომ აჭარის თითქმის ყველა ხეობის სოფლების გამაჰმადიანებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სხვადასხვა ჩინის მუსლიმი სასულიერო პირები. მათი დიდი ნაწილი ჩართული იყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ დაწყებულ მუჰაჯირობის პროცესშიც და აჭარის მოსახლეობას აქტიურად მოუწოდებდა ოსმალეთში გადასახლებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარლების მუჰაჯირობის სახელით ცნობილი გადასახლება ოსმალეთში ოფიციალურად 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე იყო ნებადართული, გადასახლებისაკენ მონოდება არც ამ ვადის ამონურვის შემდეგ შეწყვეტილა. ქობულეთისა და ჩაქვის ხეობის მუსლიმი სასულიერო პირების შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„ეს ხოჯები არც დღეს ისვენებენ და უმეტეს ნაწილს თავიანთ ქადაგებაში ხალხს სულ აქედან აყრასა და გადასახლებას ეჩიჩინებთან“.

თუმცა, არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ მუსლიმ სასულიერო პირებს შორის მუჰაჯირობის არაერთი მონინალმდეგეც იყო. მათ შორის უნდა ვახსენოთ სოფელ სამზიარელი გურჯი ისმაილ ხალიფაშვილი, გურჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე, მერისელი მუფთი, ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი (სურმანიძე) და ზუნდაგელი ჰასან ეფენდი ვერძაძე.



ზაქარია ჭიჭინაძე და აკაკი წერეთელი



სელიმ ფაჰა სიმშიაშვილი